

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цნობისъ-Пурцели“—„Моამბე“. ტელეფონი № 372.

ჰაიენი. უცხოელმა ელჩებმა განიხილეს მე-12 მუხლი საერთო ნოტისა, რომელიც შეეხება კუნგ-ლი-იამენის რეფორმასა და იმპერატორის სსახლესი უცხოელ წარმომადგენლების მიღების დროს არსებული (კე-

რემონტის ცვლილებას და დაადგინეს, თანახმად როგორც და კომუნიკაციის წინადადებისა, რომ ცუნგ-ლი-იამენის მაგივრად დაარსებული იქნას გარეშე საქმეთა სამინისტრო, რომელიც უნდა შესდგებოდეს ერთი პრინციპიდან (თავმჯდომარე) და ორის მინისტრისაგან და რომელთაც უნდა უნდა ჰქონდეთ იმპერატორთან დამოუკიდებელი მისვლა-მოსვლისა. გარდა ამისა, უნდა იყვნენ გარეშე საქმეთა მინისტრის ორი თანამშემწე, რომელთაგან ერთმა უნდა იცოდეს რომელიმე უცხო ენა.

კრალკი. გელბრინიდან მოვიდა ცნობა, რომ ანდრის ვესელიო ცოცხალია. ვესელიო მორგენდლოთან ერთად გაგზავნილი იყო დესპანათ ბურებთან და ხმაიყო, ვითომ იგიც, მორგენდლოთან ერთად, დახვრეტილ იქნა დევეტის ბრძანებით.

ბარლინი. დღეს, შუადღის შემდეგ, წმ. მიხეილის ეკლესიაში რაღაც მიზეზისა გამო აფეთქება მოხდა; მარცხენა გუმბათის თალი და სახურავი ჩამოინგრა; თანჯრები დაიშხრა. ორი ბავშვი და ერთი ჯარის-კაცი მძიმედ არიან დაჭრილნი.

მოსკოვი. 4 აპრილს გაიხსნა პირველი კრება კრმინალისტების საერთაშორისო საზოგადოების რუსულის განყოფილების წევრთა.

ჩისტოპოლი. კამაზე ნავოსნობა დაიწყო.

ნოვოროსი. ნავოსნობა დაიწყო; ვოლხოვამდე წავიდა სამგზავრო გემი.

სარატოვი. კურდიუმთან დაიშხრა სარატოვიდან მიმავალი საფოსტო მატარებელი. მას დაეჯახა 14 ნავთის ვაგონი, რომელნიც მოსწყდნენ წინ მიმავალს საქონლის მატარებელს. დაიშხრა ბარგისა, ფოსტისა და 4 სამგზავრო ვაგონი; მოკლულია ხუთი კაცი, მძიმედ დაჭრა 6 კაცი, მსუბუქად — 15. დაჭრილები სარატოვში ჩამოიყვანეს.

ომაჰი. ირტიშზე ყინული დაიძრა; მდინარე აღიღდა.

ვოლისლავა. ნევა გაიწმინდა ყინულისაგან სათავიდან თორმეტის ვერსის მანძილზე.

ლენინგრადი. ხმა არის, რომ მაისში მილნერი ინგლისში ჩამოვა ორის თვით, რათა სამინისტროს აუხსნას თავისი შეხედულება აფრიკის საქმეებზე.

პარიზი. ლუზე დღეს დილით დაბრუნდა პარიზში.

ნოცა. რუსეთის ესკადრა დილას გავიდა ვილაფრანკიდან. კრესერი „ალექსანდრე II“ ტულონში მიდის, დანარჩენი გემები — ბარცელონაში.

პაიონი. ლიუს უტირავს მარჯვე პოზიცია ხილულთან, პოტირულთან 120 მილის სიშორეზე; მის წინააღმდეგ გაიგზავნება 5000 გერმანელი და 3000 ფრანგი. სხვა ჯარები ხვალ და პარასკევს წავლენ პეკინიდან. ექსპედიციის წინამძღოლი იქნება გენ.-მაიორი გაილი. ჩინეთის ჯარი, როგორც ხმა არის, 10,000 კაცისაგან შედგება. მოელიან ცხარე ბრძოლას. ჩინეთის ჯარი სდგას იმ საზღვარის ახლო, რომელიც ვალდერზემ დანიშნა ევროპიელ ჯარების ექსპედიციების სასპარეზო ადგილების საზღვრად. ლიუს რამდენჯერმე წინადადება მისცეს ევროპიელებმა მოპოვებოდა იმ ადგილებს, მაგრამ ლიუს არ ასრულოა ეს წინადადება და ევროპიელთა შეუთვალა: თუ გნებავთ ჩემი აქედან განდევნა, მოდით და ძალით გამაგდეთო. დღეს ფრანგების ბანაკიდან ცნობა მოვიდა, რომ ლიუს უკან დაიწია; მაგრამ თუ ეს მართალია, ცხადია ლიუს მხოლოდ 8 მილის სიშორეზე დაიწევს უკან, რათა დაიჭიროს კიდევ უფრო მარჯვე პოზიცია.

ელჩებმა საერთოდ დაადგინეს დაუბრუნონ ჩინელებს ცუნგ-ლი-იამენის არხივი.

(სადაზროს დღემშები იხილეთ მე-4 გვერდზე.)

ჟურნალ-გაზეთებიდან

საფრანგეთის გაზეთები ძაღვან თავდაჯერებით ჯანაზაობენ ტულონის დესესსაულებზე, ხოლო ნაციონალური გაზეთები თითქმის დემონსტრაციულად გულგრილობით ჯანაზაობენ ამ სავანის შესახებ; ამათ არა ჰქონთ, აღბად, აღბად სამინისტროს გამარჯვება გარეშე საქმეებში. „ჟურნალ დე დეპუტე“ ამბობს, რომ ტულონის მინათესტაციებით დასრულდა ის შრომა, რომელიც უკვე რამდენიმე წლის განმავლობაში სწავლობდა და რომელსაც მიზანად იტალიისთან შეიკება ჰქონდა. გაზეთი ამტკიცებს, რომ ხანგრძლივი განხეთქილება საფრანგეთისა და იტალიის შუა სწორედ გაუგებარი იყო. მეტადრე, — ჰეთქვამს გაზეთი, — ძნელი არაა, რომ ამ ორმა სახელმწიფომ შეათანხმონ თავიანთი ინტერესები ხელათა შუა ზღვაში. საზოგადოდ გაზეთებში ისეთი აზრი ჰქონდა, რომ იტალიის ესკადრის მოსვლა ტულონში მხოლოდ საერთაშორისო ზრდილობის ოქმს წარმოადგენს. „ფიგარო“ ში დაბეჭდილია უსახელო წერილი ერთი დამხმარისისა, რომლის აზრით, ტულონის დესესსაულებს მხოლოდ ის მოჰყვება შედეგად, რომ როცა 1903 წელს სამთა კავშირი განსხვავდება, მაშინ ეს კავშირი საშუალოდ აღარ იქნება საფრანგეთისათვის. იტალიურ გაზეთ „კაფარო“-ში დაბეჭდი-

ლია ამ სავანის შესახებ კერძო წერილი, რომელიც საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრად ნამუფთის განცხადებას ეყრდნობა.

„არავის არ შეუძლია ამ ჯამად იწინასწარმეტყულოს, — სწერს განცხადება, — რომ ტულონში იტალიის ესკადრის მოსვლა მოასწავებს სხვადასხვა მსგავსად რუსეთის ესკადრის მოსვლას ტულონში 1893 წელს. ყოველ შემთხვევაში ამ დესესსაულებს ბოლო მოუღო საფრანგეთ-იტალიის სამშუგარო ურთიერთობას. მიუხედავად ამისა, — განცხადებას მინისტრად ნამუფთი, — სამთა კავშირის ეს დედა იტალიაში გულმოდგინე დამტკიცება; ამ გარემოებას ამტკიცებს განაღდებისა და ბიუროკრატის უკანასკნელი შესვლა. შემდეგ სამთა კავშირის ვადა თავდება მხოლოდ 1903 წელს და ეგვალს იცის, რომ მის განსხვავების დროს იტალიის საზოგადოებრივებს დიდი მნიშვნელობა ექნება. ამიტომ უნდა უარყოფითად დავუგებოთ და არ უნდა ვცხადებდეთ, რომ ევროპის ზოგიერთი საფრანგული ძირეული შეიცვალა. მაგრამ მეორეს მხრით, ნება გვაქვს ვთქვათ, რომ მზადება რაღაც ცვლილება და იტალიის ესკადრის მოსვლა ტულონში ზოგიერთი ნაბიჯია ამ ცვლილების გზაზე გადადგმულია.

ფრანგი გაზეთი „მატინ“-ში დაბეჭდილია სხვადასხვა ოსმალეთის ზოგიერთი, რომელიც შიდა სულთან აბდულ-ჰამიდის მისწრაფებით, ზოგიერთი სუბან-ედლინი და ლოჟ-ფუჟის იწვევით ოსმალეთის ეგვალს ლიბერალურს შეგობრულად და მხნედ იმუშავებს. ისინი იწვევენ ეგვალს უკმაყოფილებას იმ კანკარესზე, რომელიც ჭიჭიში უნდა შეიკებოს. თავიანთი ზოგიერთი დისასრულში ზოგიერთი ბევრ დიდ ბრძალს სდებენ სულთანს. „ჩვენ უნდა აღვადგინოთ, რომ მარტო სულთან-ჰამიდმა საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის განმავლობაში საზოგადოებრივ, სოციალურ და სხვადასხვა მიმართულებით მხოლოდ მით შეუძლია იმართლოს თავი საღვთის წინაშე, რომ თავიანთი საკუთარი სისხლით მორგებონ ეს ჩიჩი. ფიგურაზე ჩვენს სახელს და ზოგიერთს, რომ არავითარი მისწრაფების წინ არ დავიხვეთ, რათა ჩვენი სამშობლო ამ საზოგადოების მონობისაგან განთავისუფლდეთ.

დამოუკიდებელი მუშების დასის კრებამ ინგლისში სამშაბათს განაცხადო თავისი სხვადასხვა და ბევრი რეზოლუცია დაადგინა საფრანგულ ზოგიერთ და საზოგადო საქმეების შესახებ.

სამხრეთ-აფრიკის ომის შესახებ კრებამ მოიწონა განცხადება, რომელიც ამტკიცებს, რომ ეს ომი დამუშავდება და შინაგან რეფორმებს ხელს უშლის. შემდეგ გადაწყვიტეს ომის

შეფასება მოწინააღმდეგეები მოიწოდებენ კრებაზე და აცხადებენ განცხადებას, რათა დაატანონ მთავრობას ისეთი ზარბაზნი და ბურებს, რომ მათი საქმეები უთავიდან შეიწყოს მთავრობის მიერ კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც მრავალთაგან მიიღო მთავრობის მიერ ინგლისში. შემდეგ კრებამ სურვილი განაცხადო, რომ დანახდა იყოს მიღებული, რათა დაეკმაყოფილებინათ იათი სადგომები თუბოდეს სახელმწიფო, ანუ საზოგადოების ჯიშით. ბავშვების შრომის შესახებ კრებამ განა, რომ აგრძელდეს იქმნას ბავშვების ქუჩებში და შემდგომეულ იქმნას ეს შრომის ნაურ მრეწველობაში და საჯარო საქმეებში, რომ უნდა აიკრძალოს მუშაობა იმ ბავშვებზე, რომელიც სკოლაში უნდა სწავლობდნენ.

დასის წინამძღოლმა კეირ-გარდინ წარმოადგინა კრებას მოსვენება თავის მოქმედების სახებ ზარბაზნები. ამ მოსვენებაში კეირ-დო ინგლისური ლიბერალური დასის ზოგიერთი სისუსტეს შეეხო: ამისი აზრით, სისუსტე ახსენება იმით, რომ ლიბერალური შესრულა ბოლომდე თავისი მოვალეობა მრავალსა და წინაშე, მაგრამ შემდეგში კრება ვეღარ მოახერხა, ვეღარ გაბედა თან ეკისრება მუშათა კლასის ინტერესების და კეირ-გარდინ იმედი გამოსთქვა, რომ ეს დასის სესიის დროს საზოგადოებათა ზარბაზნი მისი დეპუტატების ცალკე ჯგუფი შესდგება ორატორის აზრით, რომ ლიბერალური შიდა აუდიენტად მოხდება, და ეს კრება საჭირო ფისიონომიური მომენტის ინგლისის ზოგიერთი რეზოლუციისა და აზრების სანაშაფი ცვლილებისათვისა.

„ზარი ნუგელა“-ს სწერს, რომ ინგლისის სახელმწიფოს მინისტრის შეიქმნა აუსტინ ბერლენმა თავი დაანება ადგილს, რომელიც სამხრეთ-აფრიკის ბანკის გამგეობაში უკვე ამ ჟურნალის სიტყვით, ეს ამავად მომხდომის შემდეგ, როცა სახელმწიფოს მინისტრ ჯოზეფ ჩემბერლენს საუბარი ჰქონია მუდურად უნდობაში, სადაც ჩემბერლენი ვეულო იყო, როგორდაც მინისტრი. საუბარს დროს ჯანაზა იყოფოდა გაზეთი. მორჩინებულსა და ჩემბერლენის ოჯახის წევრებს ატეხილ დავაზე. სწორედ ამ საუბრის შემდეგ ჩემბერლენის შეიქმნა აუსტინმა თავი დაანება ადგილს სამხრეთ-აფრიკის ბანკის გამგეობაში, რომელსაც საქმეები აქვს სახელმწიფო საზოგადოებას. ცხადია, რომ ამ საუბარსა და აუსტინ ბერლენის სამსახურიდან გასვლას კავშირი აქვს.

გაზეთები იუწყებიან, რომ ლორდ კარტონი ზოგიერთი იყო გაზეთში

ფელეტონი

შორის ვარსკვლავს...

—ს—

იბრწინებ, შორის ვარსკვლავო, მინათე ბნელი დამისა, გულს ტანჯულს, სულს ურწმუნოს შეგას მოეცა წამისა!

ჩასამარებულს სიცოცხლეს მოჰყვინებ კვლად ნათელი, სამშობლო ქვეყნის წინაშე დამაღწე ვითა სანთელი!

შენ შემოგტირა, მოგანდობ, რაკი გულს დადი ჰსწევია, თვისსე, მადლი ზეცისაზე გადმოვა, შენი მწვეია!..

ნუ დამოვიწეებ, შორსე ვიფო, მომფინებ შენი ნდობისა; მეგობრულს გრძნობას ენაცვლას ჩამქრალი გრძნობა ტრფიბისა!

1899 წ. ივნისი.

დავითაშვილი*)

*) ვსარგებლობთ შემთხვევით და ვასწავლებთ შეცდომას: „ცნ. ფურცლის“ ადგილის №-ში ლექსი „აღსდგა ქრისტი...“ შეცდომით ხელმოწერული დაიბეჭდა; იგიც ბ. დავითაშვილის ეკუთვნის.

რედ.

ივ. ვაჟოშის აზრი ჩვენის ხალხის შესახებ.

ცნობილმა ბოლგარელმა რომანისტმა და პოეტმა, ავტორმა ისტორიულის რომანის „დამონებულნი“-სამ, რომელიც ჟურნალს „მოამბეში“ დაიბეჭდა, ბ-ნმა ივ. ვაჟოშმა, მოკლედ, მაგრამ თანაგრძნობით გამოთხარი წერილი უძღვნა ჩვენს ქვეყანას და ჩვენს ერს ბოლგარულ ენაზე. თუ მოვიგონებთ იმ გარემოებას, რომ სლოვანთა მცირე ტომთა შორის თითქმის სრულიად უცნობია საქართველო, ... მას შეუძლიან ცნობის მოყვარება და სურვილი აღუძრას თავის თანამემამულეთ ჩვენსა უფრო დაახლოვებით გასაცნობათ.

ბ-ნის ვაჟოშის წერილს სათაურადა აქვს „Погледъ възъ историческия животъ на грузинския народъ“ („მოკლე მიმოხილვა ქართველთა ერის ისტორიულის ცხოვრებისა“) და დაბეჭდილია ბოლგარულ თვითურ ჟურნალ „Българска Сбирка“-ში (ბოლგარული კრებული № III, 1901 წ.), რომელიც ბოლგარეთის სატახტო ქალაქ სოფიაში გამოდის ბ-ნის სტეფ. ბოზიჩევის რედ. ხელით, აქვე შევნიშნავთ, რომ თავის წერილის წყაროდ ბ-ნის ვაჟოშს პროფ. ორის ბ-ნის ალ. ხახანაშვილის ფრანგულ ენაზე გამოცემული „საქართველოს ისტორია“ აქვს.

აი რას ეუბნება თავის მკითხველებს ბ-ნი ვაჟოში:

„ბუმბერაზ კავკასიის ქედის სამხრეთ მხარეს, ქორახისა, ინგურისა, რიონისა და მტკვრის აუზებში, უხსოვრის დროიდან სცხოვრობს მთის, მამაცი და მძლავრი ხალხი ქართველთა ტომისა, მართლ-მადიდებელ სარწმუნოების აღმსარებელი. ამ ხალხისაგან დამოკიდებული ვართ როგორც შავის ზღვითა, ისე ისტორიითა. თითქმის არაფერი ვიცოდით არც იმის წარსულისა და არც აწმყოს შესახებ, არაფერი ვიცოდით იმ წარსულის შესახებ, რომელიც ესდენ უახლოვდება და ემგავსება ჩვენს უბედურება-ვალებით აღსავსე წარსულ ცხოვრებასა.

ერთი საუცხოვო წიგნი, „საქართველოს ისტორია“, ბ-ნის რაფ. ისარლიშვილის მიერ შარშან ფრანგულ ენაზე გამოცემული, სავსე ყოვლიდის ინტერესითა, საშუალებას გვაძლევს საზოგადოდ გავაცნოთ ჩვენთა თანამემამულეთა ისტორიული სევე-ბედი ამ საინტერესო ხალხისა, რომელიც ასე დამოკიდებულია ჩვენზე გეოგრაფიულად, გეოგრაფიულად, ენით და კულტურით. ეს ხალხი ჩვენზე დიდის ხნით აღრე გამოვიდა ისტორიულ ასპარეზზე — ქრისტეს დაბადებამდე შეიღის საუკუნით აღრე.

ჩვენზე აღრევე, IV საუკუნეში, ქრისტიანე შეიქმნა. ხოლო ამ ასპარეზიდან XVIII საუკუნის მიწურულში ჩამოვიდა.

ორი ათასის წლის განმავლობაში საქართველო წარმოადგენს ერთს დაუსრულებელ ბრძოლას პოლიტიკურის და ეროვნულ დამოუკიდებლობის დაცვისათვის; კავკასიის ქედისაგან მიჰქუქული და მტრის მიერ გარემორტყმული საქართველო მუდმივ მსხვერპლი ყოფილა შემოსეულ მტრების მთელი ცხოვრება ქართველებისა წარმოადგენს გმირულს ბრძოლას თავის დაცვისათვის. ხან თითონ სძლედა მტერს, უფრო კი მტრის მიერ იყო ხოლომე ძლიერი გაუბედურებული. ხოზარნი, სპარსნი, მგზნი, არაბნი, მულაღნი, თურქნი, ბეგნი — ყველანი იმას ესხმოდნენ და იკლდნენ. მაგრამ ერს მაინც გული არ უტყდა ბოდა, იბრძოდა და ამის წყალობით ზუსტად დაიცვა თავისი ეროვნება, სარწმუნოება, სულიერი პიროვნება. დაუბრუნებელი წვალება ამ ხალხისა უღრმესი თავისუფლების სიყვარულს და კერის გულებას მისას.

მთელმა გუნდმა დიდებულ გვამთა ღრუკალი დასტოვა ლეგენდებსა და საქართველოს ერის ხსოვნაში. მათი სახელები კავკასიის მთათბსავით აბრწყინებენ ტყე-გიულ ფურცლებს საქართველოს ისტორიისა. ასეთი არიან — ჩამოვთვლით მხოლოდ — საქრისტიანო დროების პირთ — საქართველოს მეფე მირიანი, ვახტანგ გორგასალა და ვითა აღმაშენებელი, თამარ მეფე, ქე-

კომისია, რომელშიც, სხვათა შორის, მონაწილეობას იღებენ პროფესორები პასტერნაკი, ჩიკატი და ჯერგოვსკი, ექიმები, ქიმიკოსები და სხვანი.

ოთხშაბათს, 4 აპრილს, ქართული თეატრში გაიმართა ქართული წარმოდგენა საქველმოქმედო მიზნით. წარმოდგენის ბ. ვლ. მესხიშვილისა და ქ. ნ. ჩხეიძის მონაწილეობით დიუმას პიესა „ედმონდ კინი“. წარმოდგენას დიდძალი საზოგადოება დაესწრო.

გუშინ, დღისით, სახალხო კითხვათა სადგომში, ავქალის ქუჩაზე, გაიმართა ქართული წარმოდგენა ბავშვებისათვის. სცენის მოყვარულებმა წარმოდგენის ქ. ბ. დემურისაგან ნათარგმნი პიესა „გამარჯვებული“ თეატრი სავესტ იყო პატარა მსმენელებით, რომელნიც ალტაცებით და გულმოდგინებით ისმენდნენ მხიარულ პიესას.

ინტენერო ვურცელი მოკლე ხანში დაასრულებს თავის ანგარიშს ყარსის რკინის გზის გაკეთებაზე წასულ ხარჯებისას. სულ დახარჯულა ამ გზაზე 20 მილიონ მანეთზე მეტი.

გუშინდელს სხდომაზე ტფილისის ქალაქის გამგეობამ, თანახმად ქალაქის თავის წინადადებისა, გადაწყვიტა ცნობაში მოიყვანოს და მოაწესრიგოს ქალაქის მიწები ნავთულში. ეს საქმე დაეწალა იმ კომისიას, რომელმაც ამგვარივე საქმე შეასრულა ნაძალადევის, ხოლო კომისიის თავმჯდომარეობა დროებით მიენდო სავაქრო პოლიციის უფროს ზედამხედველს.

მთაწმინდის უბნის მცხოვრებთ მიუხარბათ თხოვნით ქალაქის გამგეობისათვის მოეწყოს მათ უბანში კანალიზაცია და შემდეგ დახარჯული ფული გაეწეროს სახლის პატრონთ.

ტფ. ქალაქის თავმა წარუდგინა გუბერნატორს დამტკიცებული პროექტი მამადაიდის მთაზე ასაყვან ფუნთუკულ ერისა.

ა. ს. ხახანაშვილის წერილი „ქართული (ახლად ნაპოვნ) ნაწყვეტი ქილილა და დამანისა“ გადაითარგმნა გერმანულად და დაიბეჭდა ვენაში, სათაურით „Georgisches Bruchstück der Kalilag und Dimnag“.

მოგვივინა ახალი რუსული წიგნი ა. ს. ხახანაშვილისა: „ქართული ნაწყვეტი ქილილა და დამანისა“. 55 გვერდი, ფასი სამი აბაზი.

4 აპრილს დიდუბის მინდორში გაიმართა დოლი. პირველი ჯილდოები მიიღეს: პ. ი. ლაზარევის, კორნეტის ტუგანოვის, ა. ი. ლაზარევის და თავ. გ. ი. ორბელიანის ცხენებმა. შემდეგი დოლი დანიშნულია მომავალ კვირისათვის.

მდ. თერგის აღიდგმა ყოველთვის დიდად აზარალებს ხოლმე მცხოვრებთ; შარშან, მაგალითად, თერგის ოლქის მცხოვრებთ 400 ათასი მან. ზარალი ნახეს. ამ უმად მიწად მოქმედების სამინისტრომ შეადგინა განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშავოს ღონისძიებანი მცხოვრებთა დასაცვლად.

როგორც სწანს, ტფილისის გუბერნიის სახემწიფო ქონებათა მმართველობის ანგარიშიდან გასულს წელს ხაზინას შემოსულია ტფილ. გუბერნიის სახაზინო ტყეებიდან 170,000 მანეთი; წინა წელთან შედარებით შემოსავალს უმატია 15,000 მანეთით.

ხვალ ტფ. ქალაქის თვით-მმართველობის მოხელენი გამოსათხოვარ სადილს უმართავენ გამგეობის წევრად ნამყოფს თავ. ა. მ. არღუთისკი-დოლგოპოლსკის, რომელმაც კერძო ადგილი მიიღო ბაქოში ნავთის საქმეში.

რედაქციამ მიიღო მესამე ნომერი საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილისა“. შინაარსი ამ ნომრისა: 1, „შედარება“—ლეკია აკაკისა; 2, „შაშვი“—ამბავი ბაჩანასი; 3, „მხერხავი ლექსი“—მარიამ დემურისი;

4, „სად დაიკარგა საბედის სათითური“—კახ-იმერლისა; 5, „ლედი ჯენ“—მოთხრობა (თარგმანი) ე. წერეთლისა; 6, „წერო და ცხრა-ფეხა“—თარგ. ბეს. ვაშაძისა; 7, „ვინ იყო რაფიელ ერისთავი“—პეტრე მირიანაშვილისა; 8, „მეფე დიმიტრი თავდადებული და გიორგი ბრწყინვალე“—ი. გოგებაშვილისა; 9, „პეროდოტეს თქმულება კიროსის დაბადების შესახებ“—ა. ყუმისთავისა; 10, „ალღომა“—ლეკია შ. მღვიმელისა; 11, „ორი ჩიტი“—პაპა-ზიანისა, თარგმ. ქაიხ. ყ—სა; 12, გასართობი; 13, წერილმანი: აკროსტიხი, რებუსი.

5 აპრილს, დღით, არშაქუნის ვიწრო ქუჩაზე, ფირალავის სახლში, დურგალმა სიმონ მოღულაშვილმა დანიშნულ დასტრა თავისი ახალგაზდა ცოლი, რომელთანაც ბოლოს დროს აღარ ცხოვრობდა, დაპირილი საავადმყოფოში გაგზავნეს; დამნაშავე პოლიციამ ჯერ ვერ იპოვა.

ნავთულში ჩითხაშვილს ბაღში პოლიციამ დაატუსაღა ტფილისის მოქალაქე ჯაფარიძე და გორის მცხოვრებნი თომა გაბუნია და ალექსანდრე ჩანთარაშვილი, რომელთაც ქურდობის ჩადენა პარალელად და რომელთაც დიდი ხანია დაეძებდნენ.

საღამოს ღებულები

ნ. ანდრია.

პატივგზარბი. საერო განათლების მინისტრის ბრძანება: „ხელმწიფე იმპერატორის ნებით მე მომენდო ამიერიდან განსაკუთრებით საყურადღებო თანამდებობა საერო განათლების მინისტრისა. მე ყოველ ღონისძიებას ვიხმარ, რათა გავამართლო ხელმწიფის ნდობა და აღვასრულო უმაღლესად მონდობილი საქმე. უმაღლესს რესკრიპტში, რომლითაც მისმა უდიდებულესობამ 25-ს მარტს მომიწოდა მე ხსენებულს თანამდებობაზედ, აღნიშნული იყო რამდენიმე სიტყვით ჩემის მომავალის მოღვაწეობის სრული პროგრამა, სახელდობრ: ძირითადი გადარჩევა და შეცვლა ჩვენის სამოსწავლო წეს-წყობილებისა, განახლება და მოწყობა რუსეთის სკოლისა და მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში გონივრობისა და გულ-შემატკივარ მზრუნველობის შეტანა. მტკიცე და შეურყეველი აღსრულება ამ უმაღლესად აღიარებულის პროგრამისა უნდა შეადგენდეს წმიდა მოვალეობას ყველა ჩემ ხელქვეით დაწესებულებაში; პირველი და უმთავრესი ნაწილი პროგრამისა—სამოსწავლო წეს-წყობილების რეფორმა, რის აღსრულებასაც უმაღლესის ნების თანახმად დაუყოვნებლივ შევუდგებით, ყოველ შემთხვევაში მოითხოვს დროს; მეორე, არა ნაკლებ საყურადღებო ნაწილი—მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში გონივრებისა და გულ-შემატკივარ მზრუნველობის შეტანა—ყოველთვის შეადგენდა უმთავრესს საგანს მასწავლებელთა და აღმზრდელთა; მაგრამ ამიერიდან ეს უნდა შეიქნეს უპირველეს და უდიდეს საგნად მათის მოღვაწეობისა. მე იმედი მაქვს, რომ ჩემი მასლობელი თანამშემწეები და სამინისტროს ყველა მოხელენი სრულ დახმარებას გამიწვევენ მინდობილ საქმეში და ამიტომ ვიწვევ მათ დაუღალავად იზრუნონ ჩემთან ერთად უმაღლესის პროგრამის აღსრულებისათვის. მე ვიწვევ მასწავლებელთ დაუახლოვდნენ მოზარდი თაობას და ეცადნენ სწავლების გარდა აღზარდონ მოსწავლენი სიყვარულითა და გულითადი ურთიერთობის დამყარებით; მე ვიწვევ აგრეთვე მშობლებს ოჯახში წესიერის აღზრდით დამეხმარონ ამ დიდ საქმის ასრულებაში; მშობლებს უნდა ახსოვდეთ, რომ აღზრდის საფუძველი ოჯახშია და მოზარდი თაობის მდგომარეობის გაუმჯობესება დამოკიდებულია ოჯახისა და სკოლის კავშირზე; მოუწოდებს აგრეთვე მოსწავლეთ ნდობით მოეპყრან მთავრობის ზომებს და იქონიონ რწმენა, რომ მათთვის დაუღალავად ზრუნავენ; აღსოვდეთ და ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას, მშვიდობიანად განაგრძონ

მეცნიერების შესწავლა და ამით მოგვეცნენ ჩვენ სახსარი დრო და ძალა მოვასხმართ სკოლის მოწეს-რიგებას. მე ღრმად მრწამს, რომ მტკიცე ერთობით და ურთიერთ დახმარებით ჩვენ ღვთის შეწევნით ახლო მომავალში შევიძლებთ საყვარელის ხელმწიფის სურვილის აღსრულებას,—რომ მოზარდი თაობა შეიქნეს მტკიცე და შეურყეველი იმედი სამშობლოსი და ნუგეში მისი მომავლისა“.

გამოცხადდა უმაღლესი ბრძანება შესახებ იმისა რომ საფალღებულოდ იქნას ხორბლის და თესლელულობის წონით მიღება.

სამხედრო მინისტრის ბრძანებაში გამოცხადებულია უმაღლესად დამტკიცებული ახალი კანონი ოფიცრების ქორწინების შესახებ. ახალი კანონი შემოღებულ იქნება 1902 სლის 1 იანვრიდან.

პირმი. კამაზე ყინული დაიძრა; პატარა მდინარეები აღიღნენ.

ვილნა. 5 აპრილს აქ ქუჩილი და ელვა იყო; ღამე თბილოდა.

პილი. იმპერატორი, დედოფალი და პრინცი ალბერტი მოვიდნენ აქ, რათა დაესწრნენ პრინცის ფლოტის სამსახურში შესვლის დღესასწაულს.

პაიიონი. დედოფლის სასახლე, რომელშიაც ვალდერზე სცხოვრობდა თავისი შტაბით, დაიწვა. გენერალი შვარცგოფი უგზო-უკვლოდ დაიკარგა. სამხედრო საბუთების გარდა ყოველიფერი დაიწვა.

პაიიონი. იმპერატორის სასახლის ნაწილი, რომელშიაც ვალდერზე სცხოვრობდა და აზბესტის სახლი სრულიად დაიწვა. თვით ვალდერზე ძლივს გადაარჩა,—ის ფანჯრიდან გადახტა. გენერალი შვარცგოფი დაიკარგა; ის, ალბად, დაიწვა, როდესაც მეორედ შებრუნდა ცეცხლ-მოკიდებულ სახლში. სხვა უბედურ შემთხვევათა შესახებ ჯერ არაფერი არ იცნან. ცეცხლი, როგორც ჰფიქრობენ, დაიწყო მაიორის ლაუნგშტეინის სადგომიდან, სადაც იმ დროს მაიორი არ იყო. ეჭვი აქვთ, რომ ცეცხლი განზრახ იყო წაქიდებული.

ბელგრადი. საბოლოოდ შეიმუშავეს დღეგნილებანი ტახტის მემკვიდრეობის შესახებ. მათ თანახმად მეფის მემკვიდრეებად აღიარებულ არიან მისი პირდაპირი შთამომავალი მამრობითი სქესისა, ხოლო თუ მეფის მამრობითი სქესის შთამომავლობა არ ეყოლება, ტახტის მემკვიდრეობა გადადის მამრობითი სქესის ახლო ნათესავებზე; თუ ეს ნათესავებიც არ იქნებიან, მაშინ მეფის მემკვიდრეებად იქნებიან პირდაპირი კანონიერი შთამომავალი მდებრობითი სქესისა; თუ მეფის სიკვდილის შემდეგ მას მცირეწლოვანი მემკვიდრე დარჩება, მაშინ ქვრივი დედოფალი რეგენტად დაინიშნება.

სოფია. მაკედონიის კონგრესი დღეს გაიხსნა; თავმჯდომარედ პროფესორი მიხაილოვსკი აირჩიეს.

რედაქტორი	გამომცემელი
ა. ჯეფანია.	ა. ჯაბადაძე.

გამოსაღები ცნობანი

შეტკებურგის ბარჯა 3 აპრილს.

გაქსელის კურსი 3 თვით:	
ლონდონზე 10 გირგ. სტ.—ში	93,70
ბერლინზე 100 მარკაში	45,81 1/2
პარიზზე 100 ფრანკში	37,30
ლონდონზე ჩეკები	94,65
ბერლინზე	46,30
პარიზზე	37,60
ბირჟის დისკონტი	5 3/4,—7 1/4 0/0
ჰილდ. გიშ. გაყიდ. 9 აპრილს	
40/0 სახელმწიფო რენტა	96 —
41 1/2 0/0 შინაგანი სესხი 1893 წ.	100 —
40/0 გირაფნ. ფურც. სახელ. სა- აღგ. მამ. ბანკისა	96 —
50/0 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	349 1/2 —
50/0 მეორე შინაგ. სესხის მომ- გება. ბილ. 1866 წ.	287 1/2 —

50/0 გირაფნ. მომგ. ფურც. სა- ხელმ. სააღგ.—მამ. ბანკისა.	220 —
31 1/2 0/0 გირაფნ. ფურც. იმავე ბან- კისა	58 1/2 —
ტფილ. სააღგ.—მამ. ბანკი 50/0 გირაფნ. ფურც.	92 —
41 1/2 0/0 გირაფნობა: ფურც. იმავე ბანკისა	86 1/2 —
ქუთ. სააღგ.—მამ. ბანკის 60/0 გირ. ფურცულ	— —
50/0 გირაფნ. ფურც. იმავე ბანკისა. 93 —	— —
50/0 ობლიგაციები ტფ. საკრე- დიტო საზოგ.	92 —
41 1/2 0/0 ობლიგაცი. იმავე საზოგა- დობისა	84 1/2 —

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლები

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათ-
ფრჩხილებში კი—ტფილისის).

სწრაფი მატარებელი № 2 ტფილისიდან პეტერბურგისაკენ გადის კვირასი ერთსაღ—ოთხშაბათობით დიდის 7 ს. 56 წ. (8 ს. 54 წ.), პეტერბურგისაკენ 9 ს. (9 ს. 58 წ.).

სწრაფი მატარებელი № 1 პეტერბურგისაკენ გადის დიდის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.), ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 12 წ. 10 წ.

საფოსტო მატარებელი № 3 პეტერბურგისაკენ გადის დამის 11 ს. 15 წ. (12 ს. 15 წ.). ტფილისში ჩამოდის საშუადღეის 5 საათს 35 წ. (6 საათ. 33 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან პეტერბურგისაკენ გადის საღამოს 6 საათ. 30 წ. (7 ს. 28 წ.), პეტერბურგისაკენ 7 ს. 10 წ. (8 ს. 8 წ.).

შეზავთა მატარებელი № 5 პეტერბურგისაკენ გადის საშუადღეის 3 ს. 5 წ. (4 ს. 3 წ.), ტფილისში ჩამოდის დიდის 8 ს. 23 წ. (9 ს. 21 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან პეტერბურგისაკენ გადის დიდის 9 ს. 3 წ. (10 ს. 1 წ.), პეტერბურგისაკენ 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.).

შეზავთა მატარებელი № 6 პეტერბურგისაკენ გადის დიდის 8 ს. 56 წ. (9 ს. 54 წ.), ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 42 წ. (9 ს. 40 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან პეტერბურგისაკენ გადის საღამოს 9 ს. 22 წ. (10 ს. 20 წ.), პეტერბურგისაკენ 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

საფოსტო მატარებელი № 4 პეტერბურგისაკენ გადის დამის 11 ს. 45 წ. (12 ს. 16 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან პეტერბურგისაკენ გადის საღამოს 12 ს. 36 წ. (1 ს. 34 წ.), პეტერბურგისაკენ 7 ს. (7 ს. 58 წ.).

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მ. ხეივანის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი სავსე ოთახში—12 მან. თვ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაზ., ღარიბთა თვის რჩევა და წამლებიც უფასოა. სამკურნალო განკარგულება გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალო განყოფილება: ავადმყოფთა, კანკოთის ქუჩა, სახლი ტერ-ოვისა. განკარგულება მიწაქოვი.

კუეიასა, აღმოსავლეთის ქუჩა, სახლი მუქუმოვისა, ექიმი ნ. კასუმოვი.

სარკუსისა, ყოფილიფის ქუჩა, სახლი ედიკანოვისა, ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალეების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა, ავადმყოფთა უფასოდ აღდგენ რჩევა, განკარგულება გ. ტარსაიქი.

ქალაქის საავადმყოფო სასულიერო ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოვრის ქუჩა, ბარხისა, ტიხონოვსკისა და კუეუმოვის სახლში. ექიმი მ. გუდუხაშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალათვის საავადმყოფო იმყოფება ავადმყოფთა, პეტრე-პავლ ქუჩისათვის. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტაშინოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. განკარგულება გუგულისკინი.

ქალაქის უფასო დამკურნალო სახლები: 1) ვარსკლავის ქუჩა, შეიქმნა ნაწილი, სახლი მედიკინისა.

2) დიდუბეში, სახლი გოდდოუსკისა.